შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 10633

19/04/2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირის- შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების განკარგვის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების და განკარგვის წესი და პირობები“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

განხორციელდეს სსიპ- შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული 1(ერთი) ერთეული დიზელ-გენერატორის “bronko15”-ის განკარგვა საბალანსო ღირებულებით-11980 (თერთმეტიათას ცხრაასოთხმოცი)ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით-5391 (ხუთიათას სამასოთხმოცდათერთმეტი) ლარი.დაევალოს ფინანსურ დეპარტამენტს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შესახვის, შეფასების და განკარგვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

1. ამ ბრძანებით განსაზღვრული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროსს თორნიკე ხელთუფლიშვილს.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი